

Wera Occheli

Państwowy Uniwersytet

im. Akakiego Ceretelego w Kutaisi, Gruzja

ORCID: 0000-0002-5483-1665

რედაქციისაგან

შემოთავაზებულ კრებულში მოთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ინტერდისციპლინური კონფერენციის „ქართულ-პოლონური ლიტერატურული, ენობრივი და ისტორიული კავშირები“-ს პირველი გამოცემის – „ქართულ და პოლონურ კულტურათა დიალოგი XIX–XX საუკუნეებში: ლიტერატურა - ენა - ისტორია“-ს, მასალები.

კონფერენცია ჩატარდა online ფორმატში, 2021 წლის 8 მაისს. ის ორგანიზებული იყო „ადმოსავლეთ-დასავლეთი“-ს ფილოლოგიური კვლევების კათედრისა ფილოლოგიური ფაკულტეტის ბელოსტოკის (პოლონეთი) უნივერსიტეტის და ქუთაისის (საქართველო) აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ პროფ. იაროსლავ ლავსკისა და პროფ. ვერა ოცხელის ხელმძღვანელობით.

კონფერენციის ძირითადი მომხსენებლები იყვნენ ბელოსტოკისა და ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორები. უნდა აღინიშნოს ის, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ლიტვის, დიდი ბრიტანეთის და პოლონეთის სხვადასხვა რეგიონების - კრაკოვის, ოლშტინის, ჟემოვის მეცნიერებმა, რაც მიუთითებს ჩვენს მიერ არჩეული თემის აქტუალობაზე.

თემის არჩევანი ნამდვილად არ იყო შემთხვევითი: პოლონეთისა და საქართველოს კავშირების ისტორია მრავალ საუკუნეებს მოიცავს. ბევრი რამ აერთიანებს ჩვენს ქვეყნებს - ესაა დიდებული, გმირული და ასევე, არანაკლებ, ტრაგიკული მოვლენები წარსულში - ბრძოლა თავისუფლებისათვის, აწმყოში კი - ნათელი, მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლის მშენებლობა.

ქართულ-პოლონურ კავშირებს ისტორიულად მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა. პირველი მოხსენიება ქართველი და პოლონელი ხალხების

კონტაქტების შესახებ უკვე *XV საუკუნეში* გვხვდება. ჩვენს ქვეყნებს იმ პერიოდში პოლიტიკა აერთიანებდა. *XVI–XVII საუკუნეებში* ქართულ-პოლონური კავშირები ვითარდებოდა ვაჭრობის ნიშნით.

კულტურული კავშირების განვითარება კი იწყება *XVIII საუკუნიდან*, მას შემდეგ, რაც საქართველოს მოიხსენიებენ თავიანთ ნაშრომებში მისიონერი ტადეუშ კრუშინსკი და ორიენტალისტი ვლადიმირ ბრონვესკი. *XVIII საუკუნის* პირველ ნახევარში ცნობილი ქართველი პოეტების - მამუკა ბარათაშვილისა და დავით გურამიშვილის ლირიკაში ჩნდება პოლონური ხალხური სიმღერების მოტივები, ხოლო საუკუნის მეორე ნახევარში - ქართულ ენაზე ითარგმნა ცნობილი ქართველი დიპლომატის, მწერლისა და მისიონერის, გაიოზ რექტორის მიერ პოლონელი სახელმწიფო მოღვაწის, თავადი რადზივილ-სიროტკას ნაწარმოები „მოგზაურობა წმინდა მიწაზე და ეგვიპტეში“. ამ მოგზაურობაში რადზივილ-სიროტკას აღწერილი აქვს ქართული მონასტრები - შავ მთაზე სირიაში და ჯვრის მონასტერი იერასულიმში. რადზივილის ნაწარმოების თარგმანს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხსენებული მონასტრების შესასწავლად.

XIX საუკუნეში საქართველოში პოპულარობით სარგებლობდა დიდი პოლონელი პოეტი-რომანტიკოსის ადამ მიცკევიჩისა და დიდი პოლონელი პროზაიკოსის ჰენრიკ სენკევიჩის შემოქმედება. პოლონეთში კი აღფრთოვანებით კითხულობდნენ დიდი შოთა რუსთაველის პოემას და ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის ლექსებს.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული თეატრის სცენაზე იდგებოდა პოლონური დრამატურგების – გაბრიელა ზაპოლსკას, მიხალ ბალუცკის, სტანისლავ პშიბიშევსკის, ეჟი ჟულავსკის პიესები, რომლებიც ცნობილმა ქართველმა მსახიობმა და რეჟისორმა ვასო აბაშიძემ გააცნო ქართველ მაყურებელს.

XX საუკუნეში ჩვენი ხალხების ურთიერთკავშირებს მრავალფეროვნება ახასიათებს, მაგრამ პრიორიტეტული ყოველთვის იყო ის მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლებისათვის ბრძოლასთან და კულტურასთან. ამაზე ნათლად მეტყველებს ზემოაღნიშნული კონფერენციის მომხსენებელთა რეფერატების თემატიკა.

ვიმედოვნებთ, რომ შემოთავაზებული მასალა მკითხველისთვის საინტერესო და სასარგებლო იქნება.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვერა ოცხელი
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი